საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები – საქართველო)

გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო 30 წლისაა

საქარველოს მწვანეთა მოძრაობა 30 წლისაა

2019 წლის 9 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს საიუბილეო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ორგანიზაციის 30 წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ორგანიზაციის წევრები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - ლევან დავითაშვილი, მინისტრის მოადგილე - სოლომონ პავლიაშვილი, სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები.

იუბილე გახსნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ჩხობაძემ.

პრეზენტაციების სახით იქნა წარმოდგენილი ორგანიზაციის ისტორია, ჩატარებული აქტივობები და სამომავლო გამოწვევები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ „საქართველოს მწვანეთა მოძრაობას“ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და მწვანე დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ბევრი მათი ინიციატივა დღეს უკვე სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და მომავალშიც გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა როგორც წყლის მართვის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ტყეზე ზრუნვის, ისე ნარჩენების სწორად მართვისა და მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით“.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველოს ისტორია

1988 წელი

საქართველოს მწვნეთა მოძრაობა ჩამოყალიბებამდე

1988 წლის 13 აპრილს, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე ზურაბ ჟვანიას ინიციატივით, ნანა ნემსაძისა და გივი თუმანიშვილის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მწვანთა მოძრაობის შექმნის იდეას.



ეკოლოგიური ასოციაციის საქამიანობა იწყება კამპანიებით თბილისის წყალმომარაგებაზე, ხუდონჰესის მშენებლობაზე, კერძოდ კაშხლის სიმაღლის დაწევაზე, რეკრიაციული ზონების (ბაღ პარკების დაცვაზე), სწორ, თანამედროვე ქალაქ გეგმარებაზე და სხვა.

ეს პერველი ნაბიჯებია

პირველი ათწლეული (1989-1999 წწ)

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ჩამოყალიბება

1989 წლის 4 მარტს თბილისის იპოდრომზე ჩატარდა გარემოსდაცვითი პრობლემებისადმი, მათ შორის ხუდონჰესის მშენებლობისადმი მიძღვნილი პირველი სანქცირებული მიტინგი, რომელიც მიჰყავდა ზურაბ ჟვანიას. სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები ლევან ალექსიძე, გივი თუმანიშვილი, მწერალი ნაირა გელაშვილი, მერაბ კოსტავა და სხვები;

1989 წლის 12 მაისს, ეკოლოგიური ასოციაციის პირველ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შეიქმნა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ და მიღებულ იქნა მისი წესდება;

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ საქმიანობის დასაწყისი

- იმართება საზოგადოებრივი აქცია-რეიდები ბაზრებში სუფთა საკვები პროდუქტებისთვის;
- ტარდება აქციები მიწების ფრაგმენტაციის საწინააღმდეგოდ და ქალაქების გარშემო ტეებისა და ქარსაცავი ზოლების დასაცავად;
- გრძელდება ხუდონჰესის მშენებლობის არსებული პროექტის საწინააღმდეგო აქციები;
- წარმატებით სრულდება გამწვანების ღონისძიებები ეროზიის პროცესების შეჩერების მიზნით ჩრდილო-სამხრეთ გაზსადენზე, რისთვისაც საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აქტიურობით მთავრობამ გამოყო თანხები.
- 1989 წლის 9-10 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პირველი კონგრესი, რაც ითვლება ორგანიზაციის დაფუძნების თარიღად;
- საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიცირებით 1990 წელს ტარდება პირველი საერთო კავკასიური სემინარი "კავკასია-ჩვენი საერთო სახლია";
- საფუძველი ჩაეყარა კავკასიის ქვეყნების კონვენციის შექმნის იდეას;
- 1990 წელს ჩატარდა პირველი ერთობლივი ექსპედიცია აზერბაიჯანელ მწვანეებთან ერთად და დადგინდა მდინარე მტკვარზე დაბინძურების ,,ცხელი წერტილები“;
- 1990 წლის 12 მარტს ჩატარდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოს მწვანეთა პარტიის დაარსების შესახებ;
- 1990 წლის 24 აპრილს საქართველოში პირველად აღინიშნა ,,დედამიწის დღე“;

- 1990 წელს საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ დაიწყო აქტიური მუშაობა ტყეების დაცვის მიზნით და გააკეთა პირველი საზოგადოებრივი მონიტორინგი;
- 1990 წელს საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ დაიწყო მუშაობა წიაღის დაცვის და საწარმოების მიერ დაბინძურების წინააღმდეგ (განსაკუთრებით ქუთაისის ლითოფონის, ცენტროლიტის, ზესტაფონის ფეროშენადნობის, მეტალურგიული ქარხნისა და ფაიფურის ქარხნის პრობლემებზე);
- 1990 წლის აგვისტოში გამოვიდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ გაზეთის - "დედამიწა" პირველი ნომერი;
- 1990 წელს ბატონ დავით ადეიშვილის ავტორობით გამოქვეყნდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ეკონომიკური დოქტრინის თეზისები’’;
- 1991 წელს ბატონ გივი თუმანიშვილის მიერ შემუშავდა და გამოქვეყნდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური კონცეფციის თეზისები“;
- 1991 წლის 2-3 მარტს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მეორე კონგრესზე მიღებულ იქნა ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ მდგრადი განვითარების კონცეფცია;

- 1991 წლის 13-14 ივლისს საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ დაიწყო საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა ტიპის კამპანიები („დედამიწის კვირეული“, „დავიცვათ შავი ზღვა“) და ჩაატარა არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირველი საერთაშორისო შეხვედრა - კონფერენცია ბათუმში შავი ზღვის დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით;

- 1991 წლის 9 მაისს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მიერ გაკეთდა აქციის, ,,მშვიდობით იარაღო“ ინიცირება.
- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა აგრძელებს მუშაობას საქართველოს წიაღისეულის რაციონალურ მოპოვებაზე, სამრეწველო ობიექტების მიერ გარემოს დაბინძურებაზე, და სხვა გარემოსდაცვით პრობლემებზე.
- 1991 წლის 14 ოქტომბერს, სან-პაულოში (ბრაზილია) "დედამიწის მეგობრების" ყოველწლიურ შეხვედრაზე საქართველოს მწვანეთა მოძრაობა მიღებული იქნა ამ ორგანიზაციის ასოცირებულ წევრად;

- 1991 წელს საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ დაიწყო მუშაობა ბიოლოგიური სოფლის მეურნეობების შესაქმნელად;
- 1991 წლის 27-28 აპრილს ქ. ფოთში გაიმართა მწვანეთა მოძროაბის აქცია “SOS შავი ზღვა", სიმბოლური ცოცხალი ჯაჭვით;
- 1992 წლის 13 ნოემბერს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ მართავს აქციებს ლოჯიებისა და ავტოფარეხების მშენებლობის და მწვანე ნარგავების განადგურების წინააღმდეგ;
- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა იხილავს საქართველოს ტერიტორიაზე 7 ეროვნული პარკის შექმნის საკითხს უნიკალური ეკოსისტემების შენარჩუნების მიზნით და იწყებს ლობირებას ამ პარკების შექმნაზე;
- 1993 წელს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ ხდება ,,დედამიწის მეგობრების“ ნამდვილი წევრი;
- 1994 წელს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ინიცირებით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა", რომლის მიზანია საქართველოში სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი, ბიოლოგიური გლეხური მეურნეობების განვითარება;

- 1994 წელს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომისია და გარემოს დაცვის სამინისტრო აჩერებენ ,,ნარჩენების მაფიის“ შემოსვლას საქართველოში;
- 1994 წელს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, გარემოს დაცვის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომისია ,,ფრიდრიხ ებერტის ფონდთან“ ერთად იწყებს მუშაობას კანონზე „გარემოს დაცვის ნებართვის შესახებ“, რომელმაც საფუძველი დაუდო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დანერგვას საქართველოში;

- 1995 წლის 15 მაისს გაიმართა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ მეხუთე კონგრესი. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნანა ნემსაძე, საპატიო თავმჯდომარედ ზურაბ ჟვანია;
- 1995 წელს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა“ და პარლამენტის მწვანეთა ფრაქციის ინიცირებით საქართველოს კონსტიტუციაში შედის 37-ე მუხლი;
- „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით სისტემატიურად ატარებს აქციებსა და მსვლელობებს დაბინძურების წინააღმდეგ;
- 1996 წელს დაიწყო ბრძოლა საქართველოში გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტების შემოტანის წინააღმდეგ და საფუძველი ჩაეყარა ახალ კამპანიას „გენმოდიფიცირებული ორგანიზმების წინააღმდეგ“;
- შეჩერდა 1997 წელს გენური ინჟინერიით მიღებული კარტოფილის თესლის დათესვა;
- დაიწყო კამპანია „დავიცვათ ბაღ-პარკები“, კამპანია „საშიში კვების პროდუქტების წინააღმდეგ“ და კამპანია თურქეთის ტერიტორიაზე მდ. ჭოროხის აუზში კაშხლიანი წყალსაცავების მშენებლობის წინააღმდეგ;
- ითარგმნა და დაიბეჭდა ბროშურა - "რას ნიშნავს E ნომრები", კვების პროდუქტებში არსებული ხელოვნური დანამატების შესახებ;
- საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდული ეკოლოგიური ბანაკების მოწყობას;
- დაიწყო კამპანიები: „კლიმატის გლობალური ცვლილება“, „ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიები“, „ბიომრავალფეროვნების დაცვა“;

- განახლდა ბრძოლა თურქეთის მიერ მდ. ჭოროხის აუზში კაშხალიანი 11 წყალსაცავის მშენებლობის წინააღმდეგ;
- „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ აქტიურად მოქმედებს უკანონო მშენებლობებისა და მწვანე ნარგავების განადგურების წინააღმდეგ;



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა

GEORGIA GREENS

380012, თბილისი, დავით აღმაშენებლის, 182 (ბუნებითი, მწვანე სახლი) ტელ. 348068, ფაქსი 351574

David Aghmashenebeli ave., 182, Tbilisi, 380012, Georgia (SU)
Phone 00/7-8832/348068 Fax 00/7-8832/351574 Telex 212269 GREEN SU

№ _____

_____

საქართველოს მწვანეთა მოძრაობაში შემოვიდა ცნობა იმის თაობაზე რომ ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალში არის დარღვევები, კერძოდ მიმდინარეობს ტყის უნებართვო ჭრა.

ამასთან დაკავშირებით მწვანეთა მოძრაობის წევრები დაბა კოტრიკაძე, გიორგი ჭყონია, მაღხაზ ბიწაძე მივლინებულნი არიან ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალში ცნობის სიზუსტის დასადგენად.

ზურაბ ჭეიშვილი

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური
საბჭოს თავმჯდომარე

- 1998 წლის 13 ივნისს, ჩატარდა VI კონგრესი;
- გრძელდება ახალგაზრდული ეკობანაკების მოწყობა (ლაგოდეხი);
- 1998 წლის 17 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ მიერ ინიცირებული დადგენილება "საქართველოს ტერიტორიაზე პარკებში, ბაღებსა და სკვერებში მშენებლობების აკრძალვისა და შეჩერების შესახებ";
- 1999 წლის 30 მარტს, ჩატარდა თბილისის ორგანიზაციის კრება;

- დაიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია ენერგოდერეფნებისთვის (ბაქო-სუფსა, ბაქო-ჯეიხანი და ბაქო-შახდენიზი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების სრული დაცვის მოთხოვნით;
- გრძელდება აქციები ბაზრებში საკვები პროდუქტების ხარისხისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- მოეწყო ახალგაზრდული ეკობანაკი სენაკის რაიონში, სოფელ ნოქლაქევში.

მეორე ათწლეული (2000-2009 წწ)

- გრძელდება აქციები ბაღ-პარკების განადგურებასთან დაკავშირებით;
- გრძელდება მუშაობა გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქციის შემოტანის საწინააღმდეგოდ;
- 2000 წლის 22 აპრილს გაიმართა ღონისძიებების სერია დედამიწის დღის 30 წლისთავთან დაკავშირებით: დაირგო 3000 ფოთლოვანი სახეობის ნერგი. ჩატარდა გამწვანების აქციები;
- ტარდება ახალგაზრდული ეკო-ექსპედიციები;
- ტარდება საერთაშორისო კონფერენცია "ენერგოეფექტურობისა და ენერგიის კონსერვაციის უპირატესობათა შესახებ";
- ტარდება სემინარი - "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებისა და მასმედიის მონაწილეობა";
- დაიწო კამპანია „გადავარჩინოთ საახალწლო ნაძვის ხეები“;

- 1999-2004 წლებში გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით თბილისის სკოლების დაბალი კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდა ლექცია - სემინარები დოკუმენტური ფილმების ჩვენებით, (ი. გულედანი);

- 2001 წლის 18 იანვარს მოეწყო საპროტესტო აქცია წყნეთში, ხეების მოჭრასთან დაკავშირებით (ერთერთი მშენებარე სახლის პატრონმა მოჭრა 16 ძირი ხე), თბილისის სატყეომ შეადგინა ოქმი და აღიძრა საქმე;
- გრძელდება მონიტორინგი უკანონო ჭრებთან დაკავშირებით;
- გაიმართა მორიგი ახალგაზრდული ბანაკი ადიგენის რაიონში;
- 2001 წელს საფუძველი ჩაეყარა პლასტმასის ბოთლებისა და ჭურჭლის საწინააღმდეგო კამპანიას;
- 2001 წლის 22 აპრილს ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული აქციების სერია პლასტიკის ბოთლების მეორადად გამოყენების საწინააღმდეგოდ და დაირგო ნერგები;
- დაწესდა საპროტესტო აქცია „ნაჯახი“;
- 2002 წელს დაიწყო კამპანია „გადავარჩინოთ ბზა“;
- დაიწყო მილსადენებზე საზოგადოებრივი მონიტორინგის კამპანია;

- 2002 წლის 19 ოქტომბერს ჩატარდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ VII კრება. ორგანიზაციის თანათავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ქალბატონები ნანა ნემსაძე და რუსუდან სიმონიძე;
- გაეროს კვირეულის ფარგლებში ჩატარდა აქცია “დავასუფთაოთ მტკვარი”;
- „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ინიცირებით გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება “საახალწლო ნაძვის ხეების უკანონოდ მოპოვებისა და რეალიზაციის აღმკვეთ ღონისძიებათა შესახებ;

- ტარდება აქციები კასპის ცემენტის ქარხნის მიერ დაბინძურების საწინააღმდეგოდ;
- გრძელდება განხილვები და აქციები ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნით;
- 2002 წლის 5 დეკემბერს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თხოვნით "დედამიწის მეგობრები" მართავენ საპროტესტო აქციას ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაში გატარების საწინააღმდეგოდ;
- გრძელდება ბრძოლა სახალწლო ნაძვის ხეების ტყეში მოჭრის და ქალაქებში რეალიზაციის წინააღმდეგ;
- 2002 წ. დაიწყო ნარჩენების მეორად რესურსად გამოყენების კამპანია, ჩატარდა აქციები, დაარდა პირველი ქაღალდშემგროვებელი ქსელი თბილისში;

- გრძელდება ბზობის ღესასწაულზე ბზების განადგურების საწინააღმდეგო კამპანია, რაც გაზიარებულ იქნა საქართველოს საპატრიარქოს მიერ;
- გრძელდება აქტიური მონაწილეობა პანევროპულ გარემოსდაცვით კონფერენციებში;
- საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო კონფერენციების გამართვას. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ბიოუსაფრთხოების საკითხებზე;
- იმართება ღონისძიებები ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის მიზნით. ტარდება საერთაშორისო კონფერენცია მდგრადი განვითარების საკითხებზე;
- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა გახდა ქსელის „ევროპელი ქალები უკეთესი მომავლისათვის" წევრი ორგანიზაცია;
- შეიქმნა საბუნებისმეტყველო დისციპლინების მასწავლებელთათვის სპეციალური საგანმანათლებლო და მეთოდური პაკეტები, ტრენინგის პროგრამა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით (კომპაქტ-დისკზე);
- დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამა დაცული ტერიტორიებში სოციალური კონფლიქტის მოგვარების მიზნით;

- განხორციელდა პილოტ-პროექტი პარკებსა და სკვერებში კომპოსტირების მეთოდის დანერგვის მიზნით;
- დაიწყო გარემო და ჯანმთელობის მიმართულების პროგრამის განხორციელება;
- პირველად 2002 წლის 21 სექტემბერს ჩატარდა მასშტაბური აქცია დევიზით "დავასუფთაოთ მსოფლიო";
- გრძელდება კამპანია გენმოდიფიცირებული პროდუქციის აკრძალვის ან მარკირების მოთხოვნით;
- 2009 წლიდან დაიწყო კლიმატის კვირეულების აღნიშვნა;
- მომზადდა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მიმართვა კოპენჰაგენის კლიმატის ცვლილებების ჩარჩო-კონვენციის მხარეთა შეხვედრაზე;
- დაიწყო კამპანია რაჭაში ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ;
- ჩატარდა საზოგადოებრივი აქცია „არ მოჭრა ხე", რომელიც მიმართული იყო ვერეს ხეობაში ახალი ტრასის გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე მშენებლობის საწინააღმდეგოდ;
- ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს გადაეცათ მწვანე რეკრიაციული ზონების შენარჩუნების მხარდასაჭერი პეტიცია;

მესამე ათწლეული

- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა გახდა ეროვნული პლატფორმის წევრი;
- ორგანიზაცია სისტემატურად მონაწილეობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესში და საჯარო განხილვებში;
- ჩატარდა შეხვედრა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შესახებ და მომზადდა დასკვნები;
- პერმანენტული ხასიათი მიიღო მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავების აქციების ჩატარებამ საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის შავი ზღვის სანაპირო ზოლში;
- ტარდება კლიმატის კვირეულები (2010 -2108 წწ);
- განხორციელდა ქ. თბილისის შემოვლითი რკინიგზის საწინააღმდეგო კამპანია მოსახლეობის ინტერესებისა და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიების დაცვის მიზნით;

- დაიწყო ბერნის უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების კუთხით;

- გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: ,,გენეტიკური რესურსებით სარგებლობის თანაბარი განაწილება“, ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა მე-10 შეხვედრასთან დაკავშირებით (იაპონია. ქ. ნაგოია);
- ჩატარდა მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით;
- მომზადდა ანგარიში - „საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების სიტუაციური ანალიზი” მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეციკლირების მაგალითზე“ (ავტ. ბ-ნ პ. ცაგარეშვილი);
- დაიწყო სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელების გაძლიერება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესებზე;

- გრძელდება თანამშრომლობა დედამიწის მეგობრების როგორც ევროპის ასევე ცენტრალური სამდივნოს ოფისთან, მის ცალკეულ ჯგუფებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან (WECF, CAN);

- გრძელდება აქტიური მონაწილეობა დიდი ჰესების საწინაღმდეგო კამპანიაში (ონი, ხუდონი, ნამახვანი, მესტიაჭალა -1, მესტიაჭალა-2, ხელედურა-3, სადმელ-ალპანა და ხვანჭკარა-ალპანას კაშხალი);
- ჩატარდა თბილისის მეწყრული ზონების მონიტორინგი (2012 წ);
- გაკეთდა ტრანსასაზღვრო საძოვრების მართვის შეფასება და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებისთვის (2011 წ);
- გაძლიერდა საქართველოს ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე პროცესების კვლევები და მონიტორიგი;
- შეიქმნა 2 ენერგოკოპერატივი კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების შერბილების და ალტერნატიული ენერგეტიკისა ენერგოეფექტურობის პროპაგანდის და ლობირების მიზნით;

- შეიქმნა „ლიდერთა სკოლა“ სტუდენტებისთვის გარემოსდაცვითი პოლიტიკის სწავლების მიზნით (2012-2018 წლებში 300 კურსდამთავრებული);
- დამონტაჟდა მზის წყალგამაცხელებლები და ენერგოეფექტური ღუმელები ექსპლოატაციაში შევიდა ბიომასის (ხის ნარჩენებზე მომუშავე) საამქრო;
- ორგანიზაცია მონაწილეობდა გაუდაბნოებასთან ბრძოლის ეროვნული პროგრამის შემუშავებასა და მონიტორინგში;
- მონაწილეობდა მიწის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების საკანონმდებლო ინიციატივისა და ქარსაფარი ზოლების შესახებ კანონპროექტის განხილვებში;
- განახლდა და გაძლიერდა ურთიერთობები გლობალური სატყეო კოალიციის - GFC-თან (წევრი 2005 წლიდან);
- ორგანიზაცია მონაწილეობს პოტენციურად დამაბინძურებელი საწარმოების საქმიანობაზე გამართულ შეხვედრებში;
- ჩატარდა საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონფერენციები, მომზადდა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს გადაეცა არასამთავრობო ორგანიზაციათა პოზიცია;

- დაიწყო მდგრადი ტექნოლოგიების (უსაფრთხო სასმელი წყალი, ეკო-სანიტარული განახლებადი ენერგოტექნოლოგიები) დანერგვაზე ხელშეწყობა;

- დაიწყო პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო“ (შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით) და კამპანიები: „დავასუფთაოთ საქართველო-დავასუფთაოთ მსოფლიო”, „ლურჯი ნაკადული“ (2010-2018 წლები);
- გამოვლინდა წითელი ნუსხის და სხვა იშვიათი და ენდემური სახეობები;
- შეიქმნა სტიქიური ნაგავსაყრელების მონაცემთა ბაზა (პროექტი ,,დავასუფთაოთ საქართველოს“), გაკეთდა სტიქიურად დაბინძურებული ტერიტორიების ადგილმდებარეობის, რაოდენობისა და ნარჩენების მოცულობის აღმნიშვნელი ინტერაქტიური რუკა;
- მომზადდა საპარლამენტო წინადადება საკომიტეტო მოკვლევისთვის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ - 2018 წ.
- შემუშავდა და გამოიცა თემატური სახელმძღვანელოები და სპეციალური ჟურნალები.
- 2015 წელს საფუძველი ჩაეყარა კონკურსს - ”სუფთა რეგიონი” (ნომინაციები: სუფთა რეგიონი, სუფთა ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სუფთა სოფელი, ლამაზი ეზო, სუფთა ქუჩა და ლამაზი აივანი);

- გამოიცა 27 ელექტრონული ჟურნალი „გარემო და საზოგადოება“;
- გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგები გაიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს 50-ზე მეტმა ჟურნალისტმა (2012-2014);
- ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო, 2015 წელს აფხაზეთში სამთავრობო დონეზე გამართულ შეხვედრაში თემაზე: ,,კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემების მიმოხილვა აფხაზეთის ტერიტორიაზე” და აფხაზეთის სანაპირო ზოლის გეო-ეკოლოგიურ შეფასებაში;
- განხორციელდა ნარჩენების კოდექსის ლობირება და მის საჯარო განხილვებში მონაწილეობა. ორგანიზაციის დახმარებით შემუშავდა მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმები;
- 2018 წლის 15 დეკემბერს ჩატარდა ორგანიზაციის მე-13 საერთო კრება. ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქალბატონი ნინო ჩხობაძე, დარბაზის სპიკერად კი ქალბატონი მარინა ზუხბაია;
- განხორციელდა რამდენიმე ათეული გარემოსდაცვითი პროექტი;
- შეჩერდა გუდამაყრის ჰესის მშენებლობა;

- ჩატარდა კონფერენცია "საბჭოთა პერიოდში აშენებული ჰიდროელექტროსადგურების შეფასება და რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა" (2019 წლის 17 დეკემბერი).

გამოწვევები

- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შერბილება;
- წყლის რესურსების დაცვა;
- ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველყოფა და ჰაერის დაბინძურების შემცირება;
- მიწის რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება;
- წიაღისეული რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება;
- ნარჩენების მართვა;
- ტყის რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება;
- ცოცხალი სამყაროს დაცვა და მისი რაციონალური გამოყენება;
- მცენარეული რესურსის დაცვა და მდგრადი გამოყენება;
- გარემოს დაცვა, განათლება და სოციოლოგია.

გამოცემაზე მუშაობდა: მარიკა ფიროსმანაშვილი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები - საქართველო
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 39 95 43; ელ-ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge